ხელშეკრულება №127-15

ქ.ნინოწმინდა 16 მარტი 2015 წ.

ერთი მხრივ, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი რედაქტორის ავთანდილ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ ქ.ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის, ნინოწმინდის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ტიგრან პოღოსიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

*მუხლი 1*

*ხელშეკრულების საგანი*

1.1ხელშეკრულების საგანია გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

*მუხლი 2*

*ხელშეკრულების საგნის ღირებულება* CPV-22200000

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

*მუხლი 3*

*მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება*

3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან „ინვოისის“ გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

*მუხლი 4*

*საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა*

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 იანვრამდე, ნინოწმინდის განათლების რესურსცენტრში.

*მუხლი 5*

*მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შეასრულოს ვალდებულებები.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

*მუხლი 6*

*ფორსმაჟორი*

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

6.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის, ანდა დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

*მუხლი 7*

*ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა*

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება.

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

*მუხლი 8*

*დავები, მათი გადაწყვეტის წესი*

8.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლო წესით.

*მუხლი 9*

*ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

ხელშეკრულება ძალაში ხელმოწერის დღიდან.

| *მიმწოდებელი:* | *შემსყიდველი:* |
|---|---|
| *გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი"* | *ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის* |
| *მისამართი: ასპინძა, თამარის ქ.№3* | *ნინოწმინდის №1 საჯარო სკოლა.* |
| *ს/კ223100908* | |
| *საბანკო რეკვიზიტები:* | |
| *იბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი* | |
| *საბანკო კოდი: 220101451* | |
| *ანგ. ანგ.* **GE72LBO113115795007000** | |

რედაქტორი: ავთანდილ ბერიძე დირექტორი: ტიგრან პოღოსიანი

ინვოისი № 12 16 მარტი 2015 წ.

"შემსრულებელი"

შპს გაზეთი "ლიტერატურული მესხეთი" 223100908 დასპინძა, თამარის ქუჩა№3 599 97 95 24
ორგანიზაციის დასახელება საიდენტიფიკაციო კოდი მისამართი
და ტელეფონი

ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი, ბანკის კოდი 220101451, ანგ.№ GE72LB O0113115795007000
საბანკო რეკვიზიტები:

"დამკვეთი"
ნინოწმინდის №1 საჯარო სკოლა, /
ორგანიზაციის დასახელება საიდენტიფიკაციო კოდი

/ ქ. ნინოწმინდა ტერიანის ქ№13 /
მისამართი

00
საბანკო_რეკვიზიტები:

| მომსახურების დასახელება | გაზეთის რაოდენობა | | სულ ღირებულება ლარი |
|---|---|---|---|
| გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი" 2015 წლის ხელმოწერა | 2 | | 10 ლარი |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

სულ გადასახდელი
ჯამურად ლარი ათი ლარი
10 ლარი
სიტყვიერად
ციფრებით

შემსრულებელი: ავთანდილ ბერიძე
ბ.ა.
ვეთანხმები
დამკვეთი: ტიგრან პოღოსიანი